





ადრენალინი -
იბრძოლე ან გაიქეცი!







ენდოკრინული სისტემა




ცენტრალური და პერიფერიული სეკრეციის ჯირკვლები




თირკმელზედა ჯირკვალი




ადრენალინის სამიზნე ორგანოები



გული




ღვიძლი



bronchiolebi



kuWi da
nawlavebi




ადრენალინი



კუნთი



კანი



ცხიმოვანი ქსოვილი

როგორ მოქმედებს ადრენალინი?

- ❑ ღვიძლში გლიკოგენს გარდაქმნის გლუკოზად. გლუკოზა გადადის სისხლში, მისი მოხმარება სამიზნე უჯრედების მიერ იზრდება.
- ❑ აფართოებს ბრონქიოლების სანათურებს. შედეგად, სუნთქვის ინტენსივობა იზრდება, სისხლში ჟანგბადის შემცველობა მატულობს.
- ❑ ააქტიურებს ცხიმის დამშლელ ფერმენტებს, ხელს უწყობს ცხიმოვანი ქსოვილის დაშლას.
- ❑ თრგუნავს კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკას.
- ❑ ავიწროებს კანის კაპილარებს, სისხლის ნაკადი მიემართება სხეულის ღრუსკენ და გულის მიმართულებით.
- ❑ გულიდან გადმოტყორცნილი სისხლის ნაკადი კუნთებისკენ მიემართება. ეს სისხლი მდიდარია ჟანგბადითა და გლუკოზით, შედეგად, ადგილი აქვს კუნთების ენერგიით მომარაგებას. კუნთებს ენერგია მიეწოდება ცხიმის დაშლის შედეგადაც.

ადრენალინი

შიშისაგან გაფითრდა

ბრაზისაგან აკანკალდა

დარდისაგან ჩამოხმა

შიშისაგან ოფლმა დაასხა

ელდისაგან გული გაუსკდა

ტკივილისაგან გული წაუვიდა

ნერვიულობისგან პირი გაუშრა

ნერვიულობისგან ჭამა დაავიწყდა

კითხვები?!

როგორ მოქმედებს ადრენალინი?

ტესტი

(შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები)



აკანკალებულხარ შიშისაგან საშინელებათა ფილმის ყურებისას? მოგისმენია შენივე გულის ბაგაბუგი? გიგრძნია, როგორ გასხამს ცივი ოფლი? ეს ადრენალინია!

1. ადრენალინი ადამიანის ორგანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჰორმონია. ის გამომუშავდება ისეთი სტრესული სიტუაციების დროს, როგორიცაა ----- და სხვა.
2. ადრენალინის სინთეზი ხორციელდება ----- ჯირკვალში, კერძოდ, ----- შრეში. უჯრედებიდან ჰორმონი სეკრეტირდება ----- და ხდება დანიშნულებისამებრ გადატანა.
3. ადრენალინს ორგანიზმზე მრავალმხრივი მოქმედება ახასიათებს. ის აფართოებს ----- სანათურებს და ამით ზრდის ჟანგბადის შემცველობას სისხლში. მისი ერთ-ერთი სამიზნე ორგანოა -----, სადაც გლიკოგენის გარდაქმნას ხელს უწყობს -----.
4. ადრენალინის ზეგავლენით ვიწროვდება ----- ორგანოების არტერიოლები და სისხლის დიდი ნაკადი ----- მიემართება. ეს იწვევს გულის შეკუმშვების გახშირებას და გაძლიერებას.
5. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ადრენალინი თრგუნავს ----- სისტემის მოქმედებას და ააქტიურებს ----- დამშლელ ფერმენტებს.
6. ამგვარად, შენს ემოციებს ადრენალინი განაგებს. როდესაც ბრაზისაგან კანკალებ, ადრენალინის ზეგავლენით შენი ----- სწრაფად, თუმცა სუსტად იკუმშებიან. როდესაც მოზღვაებული სიხარულისაგან ლამისაა ფრთები გამოგესხას, შენი ----- სისხლის ინტენსიურ ნაკადს უმკლავდება. ხოლო თუ ნერვიულობისგან ფერი დაკარგე, იცოდე: ადრენალინმა ----- კაპილარები შეავიწროვა და სისხლის ნაკადი ----- მიმართა, რათა, საშიშროების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად აგაცილოს სისხლის დაკარგვა.